

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების
კომისიის სხდომის

ოქმი N7

ქ. თელავი

2022 წლის 21 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის უხუცესი წევრი ნიკოლოზ მაისურაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: დავით ღაღანიძე, ზაზა ტატულიშვილი, ივანე კირვალიძე, მამუკა ბურდიაშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, რამაზ ჩეკურიშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ დალუნდარიძე, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ლილუაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ბერძენაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და მეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით ქსოვრელიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მეგლთა დაცვის განყოფილების უფროსი ლიკა ალადაშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

მომხს: ნ. მაისურაძე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

მომხს: ნ. მაისურაძე

მოისმინეს: 1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ

აზრი გამოთქვას: დავით ქსოვრელიშვილმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდის შუაში სამინისტროს წარვუდგენთ საპროექტო წინადადებებს. ამჯერად შერჩეული იქნა 11 პროექტი, რომელიც წარედგინება სამინისტროს. ეს არ ნიშნავს იმას რომ შემდგომში ყველა პროექტი განხორციელდება. შესრულდება ის პროექტი, რომლებსაც მიეცემა პრიორიტეტი.

ზაქარია გრიშკაშვილმა, აღნიშნა, რომ სოფ. კისისხევში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაციას სჯობს სოფლის ცენტრალური გზის შეკეთება, რაზედაც დავით ქსოვრელიშვილმა უპასუხა, რომ გათვალისწინებულია სოფ. კისისხევის ცენტრალურ ქუჩაზე ჩატარდეს ორმოული შეკეთების სამუშაოები.

გადაწყვიტეს: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

მოისმინეს: 2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ

აზრი გამოთქვას: ლიკა ალადაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N5 განკარგულებაში ცვლილების შეტანას. პრიორიტეტების გათვალისწინებით საჭიროა განხორციელდეს დაბახნების წყაროს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობის სამუშაოები, თანხით 109 000 ლარი. პროექტის განხორციელებისათვის თანხის გამოთავისუფლება ხდება შემდეგი სამუშაოების გაუქმების ხარჯზე: „ადამანთ ციხის“ სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა თანხით 25 000 ლარი. „ქ.თელავში არსებული

ისტორიული კარები და კარიბჭეების” საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სამუშაოების შესყიდვა თანხით 30 500 ლარი. „პატარა გორის” სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა თანხით 25 500 ლარი, სულ 111 000 ლარი, საიდანაც 109 000 ლარი გათვალისწინებულია დაბახნების წყაროს რეაბილიტაცია-კეთილმოწყობისათვის, ხოლო 2000 ლარით იზრდება კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების საპროექტო დოკუმენტაციისა და სამუშაოების შესყიდვის ღირებულება.

ივანე კირვალიძემ იკითხა თუ რა იგულისმება ტერიტორიის კეთილმოწყობაში, რაზედაც ლიკა ალადაშვილმა უპასუხა, რომ შესრულდება მიწის სამუშაოები, დაიდგმება სკამები, მოეწყობა განათება და ა.შ.

გადაწყვიტეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის N05 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ” ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი წარედგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს განსახილველად.

კომისიის უხუცესი წევრი



ნიკოლოზ მაისურაძე